Verbotsirrtum

Unter einem Verbotsirrtum versteht man im **deutschen Strafrecht** das Fehlen der für einen vollen Schuldvorwurf erforderlichen Kenntnis des Unrechts, vgl. § 17 dStGB. Dem Täter fehlt bei voller Tatsachenkenntnis die Einsicht, Unrecht zu tun. Das Unrechtsbewusstsein ist ein Merkmal auf Schuldebene, wobei das Fehlen des Unrechtsbewusstseins den Vorsatz unberührt lässt. Auch im **georgischen Strafrecht** stellt ein unvermeidbarer Verbotsirrtum einen Schuldausschließungsgrund dar, Art. 36 gStGB, und betrifft ebenfalls die Frage, ob dem Täter das Verbotensein seiner Tat bewusst ist. Nach beiden Rechtsordnungen ist für den Schuldausschluss die Unvermeidbarkeit des Irrtums erforderlich. Unvermeidbarkeit wird im deutschen Recht erst dann angenommen, wenn es dem Täter nach den Umständen des Falles, seiner Persönlichkeit, seiner sozialen Stellung und nach seinen individuellen Fähigkeiten auch bei der ihm zumutbaren Anspannung seines Gewissens und unter Zuhilfenahme anderer möglicher Erkenntnisquellen nicht möglich war, das Unrecht der Tat einzusehen. Auch nach georgischem Recht wird die Anspannung des Gewissens vorausgesetzt, um den Irrtum als entschuldigt anzusehen. Insgesamt kommt es hierbei auf die konkreten Umstände sowie auf die Verhältnisse und die Persönlichkeit des Täters an. Bei Vermeidbarkeit kann die Strafe nach deutschem Recht gemäß § 49 Abs. 1 dStGB gemildert werden. Das georgische Recht ist insofern deutlich milder, da ein vermeidbarer Verbotsirrtum nur zu einer Fahrlässigkeitsstrafbarkeit führen kann, sofern die fahrlässige Begehungsweise unter Strafe gestellt ist. (Ceo/Mkh)

შეცდომა აკრძალვაში

გერმანულ სისხლის სამართალში აკრძალვაში შეცდომის დროს არ არსებობს უმართლობის შეცნობის ის აუცილებელი კომპონენტი, რომელიც პირის სრული ბრალეულობისთვის არის საჭირო, შად. გსსკ-ის მე-17 პარაფრაფი. დამნაშავეს, ქმედების ფაქტობრივი გარემოებების სრულად ცოდნის დროს, არ აქვს შეცნობილი, რომ უმართლობას ჩადის. უმართლობის შეგნება არის ბრალის ეტაპზე დასადგენი ნიშანი, როდესაც უმართლობის შეგნების არარსებობის დროს განზრახვა არ გამოირიცხება. თავიდან აუცილებადი (მისატევებელი) შეცდომა აკრძალვაში **ქართულ სამართალშიც**, სსსკ-ის 36-ე მუხლის მიხედვით, ბრალის გამომრიცხველ გარემოებას წარმოადგენს და შეეხება ასევე საკითხს, აქვს თუ არა დამნაშავეს გაცნობიერებული, რომ ამ ქმედების ჩადენა აკრძალულია. ორივე სამართლებრივი სისტემის მიხედვით, ბრალის გამორიცხვისათვის აუცილებელია სახეზე იყოს შეცდომის თავიდან აუცილებადობა. გერმანულ სამართალში შეცდომის თავიდან აუცილებადობა მხოლოდ მაშინაა სახეზე, როდესაც დამნაშავესთვის, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მისი პიროვნების, მისი სოციალური მდგომარეობისა თუ მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, აგრეთვე სინდისისა და ცნობიერების სხვა შესაძლო წყაროების დახმარებით, შეუძლებელი იყო ქმედების უმართლობის განჭვრეტა. ქართულ

სამართალშიც ხდება სინდისის კომპონენტის გათვალისწინება შეცდომის საპატიებლად მიჩნევისთვის. მთლიანობაში აღნიშნული დამოკიდებულია როგორც კონკრეტულ გარემოებებზე, ისე დამნაშავის პიროვნებასა და მის საკონტაქტო წრეზე. შეცდომის თავიდან აცილებადობის შემთხვევაში (უპატიებელი შეცდომა), გერმანული სამართლის მიხედვით, გსსკ-ის 49-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილის თანახმად, შესაძლებელია სასჯელის შემცირება. ამ მხრივ, ქართული სამართალი აშკარად მსუბუქია, რამდენადაც თავიდან აცილებადი შეცდომის დროს პირმა შესაძლოა მხოლოდ გაუფრთხილებლობისათვის აგოს პასუხი, თუ ასეთი ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა სსსკ-ით დასჯადია. (Ceo/Mkh)